

# ივერია

რედაქციის მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოს დერეფანის და წერეთლის გამაგრ. საზოგადოების კანცელარიის ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეორეზე—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მ ქ ი მ ი**  
**კ. ი. გებელიშვილი**  
მ ი ი ლ ე ბ ს  
უკლასა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.  
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს. მიხეილის ქუჩა, ნეკრესელის ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кнри. (—5.—6)

**კვილის კვიცი**  
**ა. ე. სოლოღაშვილი**  
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2-მდე და ნაშუადღევს 5-დან 7-მდე.  
მიხეილის ქუჩა № 32. (10—2.—8)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდანი**  
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.  
დილაობით:  
ბ. ა. ნავასარდანი, 11—12 საათ. საღამოებში, ვენერიული (სიფილისი) და საშარდის ავადმყოფობანი.  
ე. მ. ჩაქაიანი, 9—10 საათ. სნეულენი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.  
მკურნალი-ქალი. ბ. ი. რუდენკო. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.  
ზ. ა. ბაბანაშვილი. — დილის 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.  
ს. შ. კარაშვილი. 1—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ. შინაგანი და ბავშვებისა.  
ბ. გ. გურგია. 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. შინაგანი, და საშარდის ავადმყოფობის-ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ. სადამოაობით:  
გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდანი—6<sup>1</sup>/<sub>2</sub>—7 საათ. ტ. ი. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.  
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწვ. ღირს ფასი ათი შაური; არბთათვის უფა. ცოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.  
დირექტორი სამკურნალო დაქტორი მედიცინის ნავასარდანი.  
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардани.  
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (7)

**ფელეტონი**  
ნიათ, მივაქვს და მოვაქვს სუნი ყვავილის შლილისა, სულთქმა ხარ წყნარის ღამისა და აიაზმა დილისა.  
ჩემთანაც მივაქვს იდუმალ ამონაქენის გულისა; გსურს ამიშალო ტანჯულსა იარა ძველის წყულულისა.  
მაგრამ გულს სასიყვარულოდ დღეს სხვისთვის აღარ ცვალია: რაც მქონდა გრძობა ცხოველი, ტბილმა სურვილმა დალია.  
არცა მაქვს გული უსულო, ათასად გასაყოფელი, ღამპრად ანთია ერთისთვის კანდელი ჩაუქრობელი.  
შ. მღვიმელი

**მთავრობის განკარგულებანი**  
დამტკიცებულ იქმნენ ახსნა ღუ-ასნაბა ლოლუა, ქუთაისის ქაჯაქის ს. ბუკას ამოწმების თანხმად, ოთხის წლის ვადით 1898 წლადგან ქუთაისის ქაჯაქის მოურავის თანამდებობაზე, ტფილისის ქაჯაქის საბუკას სმოსანა, ნაფიცი ვეკელი პეტრე ოპოჩინინი, საბუკას ამოწმების თანხმად ამავე სა-ბუკას მხრად ტფილისის გუბერნიის ქაჯაქის საქმეთა საგრაუდუსს წყარის თანამდებობაზე.  
**ახალი ამბავი**  
გუშინ, 5 სექტემბერს, ბაქოს დილის მატარებლით ტფილისს ჩამოვიდა მისის უდიდებულესობის, სპარსეთის შაჰის მუზაფარ ედინის უმცროსი შვილი პრინცი შუაუფ-სალ-ტანე-მანსურ-მირზა და მისის უმალ-ლესობის ბიძაშვილი, პრინცი შამსულ-მიულქ-აბდულ-ჰამიდ მირზა თავიანთის ამალით. მათ უმალლესობას ბაქოდგან მოჰყვა სპარსეთის შაჰის პეტრებურგის ელჩი გენერალ-ადიუ-ტანტი მირზა რიზა-ხანი და სპარსე

თის კონსული ტფილისში მუდრილ-მიულქ-მირზა-აბდულ-ჰუსეინ ხანი. რკინის გზის სადგურზედ მის უმალ-ლესობას სპარსეთის პრინცს მიეგებ-ნენ ტფილისის პოლიციმესტერი ლ. პ. მასტიკი, ტფილისის სპარსეთის საელჩოს მოხელენი და მრავალი სპარსელნი, რომელნიც პრინცის გა-მობრძანების დროს მიწას პირ-ქვე დაემხნენ. რკინის გზის სადგურიდან მისი უმალლესობა ეტლით „არ-იან-ტის“ სასტუმროში წაბრძანდა. იგი ტფილისში ორს დღეს დარჩება და აქედგან საზღვარ-გარეთ გაემგზავრე-ბა სამკურნალოდ. მისი უმალლესობა 18 წლისაა.  
კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებზე გენერალ ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე 4 სექტემბერს, ღამის 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზედ, ტფილისს დაბრუნდა რუ-სეთიდან.  
სულით ავადმყოფებისთვის ქა-ლაქის მიერ დაარსებულს თავსესა-ფარს აკურთხებენ 15 ოქტომბერს.  
ტფილისში ყვავილი კიდევ მძინვარებს. გუშინ აღმოჩინეს კიბო საში ავადმყოფი ყვავილით ავადმყოფი, ორი ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, და ერთი კუკიაში ხიდის ქუჩაზედ.  
შემნახველს კასაში, რომე-ლიც დაარსებულია ტფილისის ფო-სტა-ტელეგრაფის კანტორასთან, გა-სულ ავგისტოში შეუტანიათ შესა-ნახად 36,421 მან. და 75 კაპ. მხო-ლოდ ამ წლის რვა თვის განმავლო-ბაში შესანახად შეუტანიათ სულ 396,156 მან. და 75 კაპ.  
ახლის სამრეწველოს გარდა-სახადის ამიერ კავკასიაში შემოსა-ღებად ტფილისში მოვლიან ფინან-სთა სამინისტროს საგრაუდო და სამანუ-ფაქტუროდგარტამენტის დირექ-

ტორს ვ. ი. კოვალევსკის, რომე-ლიც ოქტომბრის ნახევარ რიცხვებ-ში ჩამოვა. ამავე დროს ტფილისში დანიშნულია კრება კავკასიის სახელ-მწიფო პალატების გამგეთა ამავე სა-განზე მოსალაპარაკებლად.  
რადგანაც პოლიციმესტერმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ კა-ხეთის გზა ავლაბარსა და ნავთლუსს შუა იმ მდგომარობაშია, რომ ეტლებს ვეღარ უვლიათო, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასდო ფული ამ გზის გაასწორებლად.  
ქალაქის გამგეობამ მისწერა ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას, რომ გო-ლოვინის პროსპექტზედ ბარიატინს-კის ქაჩიდან ვერამდე ვაგონებს მე სამე ცხენი მოუბით, რადგანაც აქ საკმაო აღმართია, ვაგონები ყოველ-თვის საცეა ხალხით და ცხენებს უჭირდებათ ვაგონის ტარებაო.  
გუშინ პოლიციამ გაუგზავნა ტფილისის ოქის სასამართლოს ბრალმდებელს ოქში, რომელიც შეუ-დგენია ტფილისის საპატია მოქალაქის აფიგოლ გრიგოლის ძეს ბეყოე ვისათვის. ბეყოევის ორის ცოლის შერთვა ჰბრალდება: იგი თურმე ცო-ლიანი ყოფილა და კავკავში კიდევ ერთი, ცირკში მოთამაშე ქალი, გვა-რად ფრისტენსი, შეურთავს.  
გავახსენებთ ჩვენს მკითხვე-ლებს, რომ ბეთანიის ახლად ნაკურ-თნი ტაძარი სამშაბათს, 8 სექტემ-ბერს, ღვთის მშობლობას დღესას-წაულობს. ტფილისიდან დიდ-ძალი ხალხი აპირებს თურმე წასვლას ამ დღეს ბეთანიაში სალოცავად.  
ტფილისის ქალაქის სახელოს-ნო სასწავლებელში დასრულდა მი-სალეზი ვეზამენები. მიღებულ იქმნა სამსავე განყოფილებაში (რუსულსა,

**ბუნება სიცოცხლისათვის არის გაჩენილი**  
ადამიანს ცხვირი იმიტომ აბია, რომ სათვალეები ატარასო, სთქვა და ცინ-ვით ვოლტერმა. ეს სიტყვები იმათ საწინააღმდეგოდ იყო ნათქვამი, რომლებიც ადამიანის ბუნებას უზენაესს არსებად სთვლიდნენ, ადამიანის ყო-ველს მოქმედებასა და აგრეთვე იმის აგებულებაში განსაკუთრებულს აზრსა ჰხედდნენ. ამ გვარი აზრი ჰმე-ფობდა მაშინ, როდესაც ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რა აღ-გილი ექირა მას დანარჩენ სულიერ არსებათა შორის ქვეყნად. მაგრამ განვლო დრომ და ადამიანის აზრ-რწმენა ქვეყნიერების შესახებ ძირია-ნად შეიცვალა: წინად ადამიანი ჰფი-ქრობდა, რომ დედამიწა შეადგენს მთელ მსოფლიოს შუაგულსაო; შემ-დეგ-კი აღმოჩნდა, რომ დედამიწა მხოლოდ ერთს უმცირესს ნაწილს ქვეყნიერებისას შეადგენს. მხოლოდ უფიც ადამიანის გონებას შეეძლო

ფიქრა, რომ მზე იმიტომ არსებობს, რომ ჩვენი დედამიწა გაათბოს და განათოსო. მთავრით და ვარსკვლა-ვებით იმიტომ მოიქედება ხოლმე ცა, რომ გავგინათოს ბნელი ღამეე-ბიო. თუ რომ დედამიწაზედ სიცო-ცხლე გაჩნდა, ეს იმ გარემოებათა წყალობით, რომლებიც დედამიწაზედ ჰმოქმედებს. სხვა-და-სხვა გვარი ბუ-ნებრივი მოვლენა, ქიმიისა და ფი-ზიკის კანონები იმიტომ-კი არ ჰმო-ქმედებს, რომ ადამიანმა იცოცხლოს, არამედ ადამიანი და სხვა სულიერი არსებანი სიცოცხლობენ ამ კანონე-ბის ძალით.  
მატერია ქვეყნად ადამიანისთვის არ იყო გაჩენილი, ბუნებრივი კანო-ნები არ არსებობს ადამიანისათვის; იმათ დანიშნულებასა და აზრს ვე-რასოდეს ვერ მივხვდებით. ადამიანის გონებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია მთელი მსოფლიო; არ ვიცით, თუ რა აზრით გაჩნდა სიცოცხლე ქვეყ-ნად და შეიძლება ვერც ვერასოდეს შევიტყოთ.

ვიმეორებ, არ ვიცით, რა აზრით ჰმოგინებს ქვეყნად სიცოცხლე, მაგ-რამ ანატომიურმა, ფიზიოლოგიურმა და ზოოლოგიურმა გამოკვლევამ ჯერ-ჯერობით ცოტაოდნად მაინც აგვი-ხსნა ეს გარემოება: ის თუ არ ვი-ცით, რა აზრით ვცოცხლობთ, ის მაინც გავიგეთ, თუ როგორა სცხო-ვრობს ეს თუ ის სულიერი არსება ქვეყნად.  
ადამიანის აგებულების შესწავლამ ვეჩვენა მისი საუცხოვო მოწყობი-ლება. ჩვენის სხეულის ყოველს ასო-სახსარს აქვს თავისი დანიშნულება და ეს არის სიცოცხლის აღყვავება და შერჩენა. განა შესაძლებელიაო, ამბობს პროფ. Charles Richet-ი თავის თხზულებაში, ადამიანმა უარ-ჰყოს, რომ თვალის დანიშნულება მგერაა; თვალი რომ ჰხედავს, ეს უბ-რალო შემთხვევა-კი არ არის, არა-მედ ეს მისი ანატომიურის აგებულე-ბის შედეგია. ამგვარი დასკვნა ცხა-ლია, როდესაც შეისწავლით მის რთულსა და ფრიად საინტერესო ანა-

ტორულსა და სომხურში) მხოლოდ 83 კაცი, დანარჩენ 135 მთხოვნელს-კი უარი გამოუცხადეს.  
დღეისთვის დანიშნული არ-ჩვენები ტფილისის მოქალაქეთა გა-მგეობის მ-ხელეებისა. უნდა ამოიჩ-ჩიონ მოქალაქეთა მამასახლისი, იმის კანდიდატი, ასი დეპუტატი, ობოლ-თა სასამართლოს ორი წევრი და მათი კანდიდატები. არჩევანებზედ დასასწრებლად გუბერნატორის გან-კარგულებით დანიშნულია საგანგე-ბო საქმეთა მოხელე თავ. ბებუთოვი. არჩევანები მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში.  
ტფილისის სასულიერო სემე-ნარიაში 31 აგვისტოს დასრულდა მისაღები ვეზამენები. მიღების თხოვ-ნა შეიტანა 57 მოსწავლემ, რომელ-თაც სწავლა ტფილისისა, გორისა, თელავისა, სენაკისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლებში დაამთა-ვრეს (ამ უკანასკნელ ორ სასწავლებ-ლიდან მხოლოდ ორი კაცი იყო). ტფილისის სასულიერო სასწავლებ-ლის 22 მოსწავლეთაგან რომელიმე-სამან-... ათველ კლასში შესვლის სურვილი განაცხადეს, მ-ღებულ იქ-მნა 11 მოსწავლე, გორის სასულიე-რო სასწავლებლის 18 მოსწავლეთა-გან—12, თელავის 16 მოსწავლეთაგან—2 და თითოც სენაკისა და ოზურ-გეთის სასწავლებლიდან, სულ მი-ღებულ იქმნა 27 კაცი. მათ შორი-საც მხოლოდ 8 კაცი იქმნა ნამდვი-ლად მიღებული, დანარჩენთა მიღე-ბის შესახებ-კი სემენარის მთავრო-ბამ უშამდგომლობა აღძრა.  
3 სექტემბერს სემენარის ექვლე-სიაში პარაკლისი იქმნა გარდახდი-ლი. პარაკლისის დაწყებამდე სემენა-რიის რექტორმა სიტყვით მიმმართა მასწავლებელთ და მოსწავლეთ. პა-რაკლისის შემდეგ სემენარის რექ-ტორი, ინსპექტორი, მასწავლებელ-

ტომისაო. რითი აიხსნება ის მოკ-ლენა, რომ როდესაც ადამიანს თვა-ლში ჩაუვარდება რაიმე უცხო ნივ-თიერება, მაშინვე თვალი ცრემლით იფვება, რომლითაც თვალის კაკალი თავისუფლდება ამ ნივთიერებისაგან და იწმინდება. როდესაც ადამიანი ჰსუნთქავს უსუფთაო ჰაერს, მაშინვე ხველა აუვარდება ხოლმე, მითი ფი-ლტვები ეწმინდება და ამოაქვს იქი-დგან მავნე და უფარ-გისი ნივთიერე-ბა. ამ გვარივე დანიშნულება აქვს ცხვირის დაცემინებას. პირ-საქმებით კუჭი სცილობს განთავისუფლდეს მაწყინარ და მოუხელეებელ საქმი-საგან.  
ადამიანის სხეულში არ-არის არც ერთი ასო-სახსარი, რომ დანიშნუ-ლება არა ჰქონდეს და საარ-გებლობის მომტანი არ იყოს. მაშა-სადავე, ადამიანის აგებულება საუც-ხოვოდ ყოფილა მოწყობილ-მომარ-თული და შემთხვევითარა მისცემია-რა, ყოველ მისს ნაწილს ემჩნევა აზრი და საგანი, მისწრაფება სიცო-

ტორულსა და ფრიად საინტერესო ანა-

ნი და აღმზრდელნი საქართველოს ექსპროსთან იყვნენ ლოცვა კურთხევის მისაღებად, რომლის შემდეგაც სემენარიაში სწავლა დაიწყო.

\* ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შეეკითხა ქუთაისის საგუბერნიო მთავრობა, სამოსწავლო ოლქის მხრივ დაბრკოლება ხომ არ იქმნება, რომ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი დაბალის ხარისხის სასოფლო საგუბერნიო სასწავლებლად გარდავაკეთოთ.

\* გაზ. „ახ. მიმ.“ პეტერბურგის ატყობინებენ: „გამოკვეთებულ იქმნა განკარგულება ბათუმში საავადმყოფოს გადასახადის შემოღების შესახებ“.

\* ტფილისის დედათა სავარჯიშო სასწავლებელში ეგზამენები დასრულდა 31 აგვისტოს, სწავლა 1 სექტემბერს დაიწყო. წელს სასწავლებელში 11 ახალი მოსწავლე ქალი იქნა მიღებული.

\* ამ შემოდგომამდე ქალაქის საბჭოს პირველი კრება დანიშნულია 9 სექტემბრისათვის. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, განხილული იქნება გამგეობის დადგენილება ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის სადგომის ასაგებად საჭირო ფულის გადადების შესახებ; აღმასრულებლის კომისიის ანგარიში იმისა, თუ რა დახმარება აღმოუჩინა 1895 და 1896 წლის წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სხვა. ამავე კომისია არაა ამოჩვენებულ იქმნას ობოლთა სასაართლოს თავმჯდომარე.

\* სოხუმისა და სწორენ გაზ. „ახ. მიმ.“-ს: „გენერალ ლეიტენანტის ქერვის ენ. ალათია შერვაშიძის იმ შუამდგომლობის პასუხად, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზედ სრულდებოდეს, მისმა მალაქ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსპროსთან წინადადება მისცა სოხუმის ეპისკოპოსს არსენის, შეწყნარებულ იქმნას რამდენადაც შესაძლებელია ენ. შერვაშიძის შუამდგომლობა“.

\* სამხედრო უწყებაში, გაზ. „კავკ.“ სიტყვით, ხელ-ახლა აღუძ

რავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რამე ღონე იქმნას ნაღობები ბათუმის გარეშე მოყოფ ქაობების ამოსაშრობად.

\* იგივე გაზეთი სწერს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ კვლონს გახსნიან უთუოდ 1899 წელსაო. თუმცა საჭირო ფული ამ სადგურის გასაკეთებლად წლებად წლებად ხარჯ-აღრიცხვაში შეტანილი იყო, მაგრამ იგი წელს არ გადაიდო.

\* ტფილისში სამწუხარო ამბავი მოვიდა გორის მაზრის სოფელ ახალქალაქიდან: მდინარე თეძამის ხეობაში უგანათლებულესი თავადი პეტრე გრუზინსკი შპართავს სახერხ ქარხანას. ამ ადგილას მუშები ნაღობი კლდეს არღვევდნენ. ორს მუშას გაუქმებიათ ნაღობი და უნდოდათ აფეთქებინათ კლდე. თავადმა პეტრე გრუზინსკიმ დაინახა ეს, ძლიერ შეეშინდა, აქ უბედურება არა მოხდეს რაო, ჯერ დაუძახა თურმე, ნუ აფეთქებთ ნაღობსაო, მაგრამ როცა მანახა, მუშები თავისას არ იშლიდნენ, თითონ მივიდა საჩქაროდ და მუშები უნდოდა წამოეყვანა. ამ დროს ნაღობი აფეთქდა. ერთი მუშა იქვე მოკლულ იქმნა, მეორე სასიკვდილოდ არის დაზარალებული. დაზარალებული აგრეთვე თვით თავადიც. მკურნალი მისურვიანია, რომელიც ახალქალაქში ყოფილა, ამბობს, რომ თავადი საშიშად არ არის დაზარალებული, მხოლოდ სახის ერთი მხარე აქვს ცოტად დაზარალებული და ერთი ხარბი დაზარალებული. ეს ამბავი მომხდარა ორშაბათს, 3 სექტემბერს, საღამომზედ. ახალქალაქიდან ამ ამბის შესახებ ჯერ ააფერი ცნობა არ მოგვსვლია.

\* გაზ. „კავკას“-ს სამწუხარო ამბავს სწორენ თელავის მაზრიდან: 28 აგვისტოს სოფ. აღდგომის მღვდელმა იოანე მენთეშაშვილმა სოფ. ინისელში მიცვალებული დასაფლავდა. უკან დაბრუნებისას მენთეშაშვილს ცხენი გაუგვიდა, ქუჩის მოსახლეებში მღვდელი ცხენიდან გადმოვარდა, საფეთქელი დაჭრა ქვეს და იქვე გარდაიცვალა\*.

\* გაზ. „ახ. მიმ.“ ბორჯომიდან ღებეშით ატყობინებენ, რომ 4

სექტემბერს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე თავისი უავუს-ტრეის მეუღლის ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ, ბორჯომიდან წავიდა.

\* გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ბათუმში ფილოქერა იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ იმის მოსაზრება მეტად ძნელად მიჩნიათ.

\* გაზ. „ს. ოტ.“ სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრად აქვს დააარსოს ბაქოში სამთო სასწავლებელი.

\* კოლორა, (სენაკის მაზრა). 1894 წლიდან ჯერ კიდევ არ მიეცა ხსნა შეუბრალებელის მდინარე რიონისაგან ჩვენს არემარეს. წარსულს სამსწელს ქარხანისაგან ხელ-ცალიერი დასტოვა საბრალო მუშა ხალხი, წელს-კი წრეგანდებმა ქარხანულმა ცეცხლი ქირი წაიღო, სამერმისოდ მიწები სათესად აღარ ვარგა, ისე გაანადგურა და მოაოხრა რიონმა. აქაურებმა არ იციან, ამ ოთხის წლის ერთად შეგროვილი გარდასახადი იდარდონ, თუ ცოლ-შვილისა და თავიანთი საზრდო.

\* დ. ზუგდიდი, (სამეგრელო). ჩვენში ქურდობას პირველად ბოლო მოეღო სამურზაყანოს ნაწილის უფროსის შემწეობით, რადგან იმან გზა და თავშესაფარი არ მისცა ზუგდიდის მაზრაში ნაპარავსა და ქურდბაცაცებს, მაგრამ ახლა ისევ გაიმის აქა-იქ, ქურდობა მოხდა, და თუ ჯიროვანი ყურადღება არ მიექცა, საშიშია, რომ ისევე გავრცელდება. წელს აქეთ გავუწყვეტეთ წვიმებმა უბირველეს ჩვენს იმედს—სიმინდს, ღვინოს და აგრეთვე სხვა წვრილმან ბაღ-ბოსტნეულობას ბოლო მოუღო. ძნელად თუ ვისმესარჩო გაჰყვება თავის დრომდე, თორემ გასასყიდს ვინა სჩვიის. ერთი კვირაა, რაც სიცივემ დაჭრა და გვაგრძობინა თავისი ძალი.

\* ს. ყვარელი, (თელავის მაზრა). 30 მარამობისთვის აქ გამართეს თელავიდან მისულმა სცენის მოყვარებებმა ქართული წარმოდგენა. წარმოდგინეს „სამშობლო, 1, 3, და 4. მოქ. დ. ერისთავისა, თელაველ ერთის ღარიბ მოსწავლის სასარგებლოც“.

მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი გოშაძე, მატარაძე, ჩხიკვაძე, თორაძე, პაატაშვილი, ბენაშვილი და სხვანი. საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო, შემოსავალი ათ თუმანდის იქმნებოდა. საზოგადოება მოიხიდა როგორც დრამის სახელწავრთველ თავ. იური ჯავახიძის დახმარებამ, რისთვისაც იგი დიდის მადლობის ღირსია, მაგრამ სამწუხაროდ, იქ შეგროვილი ფული თელავამდინ ვერ გაჰყვება ქველ-მოქმედებს, იქვე მიხარჯეს.

\* ქ. ოზურგეთი. სამწუხაროდ, ქ. ოზურგეთშიც მაგრად მოიკიდა ფეხი ქირმა ბანქო-ქალაქისა და კამათლით „ბაიბუთის“ თამაშობისა. თავისი უხილავის ბაცილებით მან ბევრს მოუწამლა კვლა გონება, ხასიათი გაურყვია, ქონებრივად გააღატაკა, უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა მოუსპო და პირქვე დააბო. რამდენამე ჩვენებურმა ქალაქში წააკო თავისი მამულ-დედული, მამაპაპის მიერ წვა-დაგვით შეძენილი და ბოლოს თითონაც ხელ-ცალიერი დარჩნენ და ცოლ-შვილიც საშუალოდ დაჰლუპეს. ასე წარმოიდგინეთ, რომ ისეთებიც-კი ეტანებიან ქალაქის და კამათლის თამაშს, რომ სრულიად მოსალოდნელი არ არის. ღამის-თვეა უძილობამ, ფულის ფლანგვამ, არა-ზომიერმა და თავ დაუქვრელმა ცხოვრებამ ბევრს მათგანს გაჰკრა თავისი ბასრი კბილები, ჯანი გაუტეხა და ზურგზედ ბოლი აადინა. ამგვარად უმეტეს ჩვენთაგანის მიერ ქალაქისა და კამათლით თამაშობამ ჩვენ საზოგადოებას თავისი დალი დასავა. რა უნდა ვუთხაროთ უმეტეს, როდესაც საუკეთესონი თითონ იძლევიან ცუდსადად მანვე მაგალითს... აქ ისეა გავრცელებული ესრედ წოდებული „ბაიბუთის“ თამაში, რომ არამც თუ დიჯონები, პატარა ბიჭ-ბუჭებიც-კი თამაშობენ. ამ ბოლოს დროს, ჩვენსა და საბედნიეროდ, ქალაქის და კამათლით თამაშობისაგან წარმოშობილს სამწუხარო შედეგს ყურადღება მიექცია ახლად დანიშნულმა ბოქალაქში თავ. ნავაშიძემ. ამგვარად იმედი გვეძლევა, რომ ქალაქის და კამათლით თამაშობა მოისპობა ჩვენში

მხნე და დაუღალავესი ბრძოლებით მწეობით. \* ტფილისის პოლიციისტერის განკარგულებით 4 სექტემბერს, დამე, ქალაქის მე-9 ნაწილში პოლიციამ შეიპყრა 24 კაცი, რომელთაც ბაზრობით არა ჰქონდათ.

**ბ. ძოჩაძის (ხალაღიძელის) პირი წერილი**

წერულს, როგორც უწყიან ჩვენსა მკითხველებმა, ქ. მინსკში გარდაიცვალა პოლიციისტი ქოჩაძე, ლიტერატურაში ქალაღიძელის სახელით ცნობილი, რომლის ლექსებით ბევრჯერ დამტკბარა ქართველი მკითხველი. განსვენებული მგოსანი დიდხანს იყო ქ. მინსკსამხედრო სამსახურში, სხეულით განზორბული თავის საყვარელს სამშობლოს, მაგრამ სულითა და გულით ისევ თავის ქვეყანას დასტრიალებდა. ამას ნათლად მშობობს, სხვათა შორის, ეს კერძო წერილიც, განსვენებულის ხელით თითქმის სიკვდილის წინა ხანს დაწერილი წერილი მოუწერია განსვენებულს ქ. მინსკიდან 1898 წლის 19 იანვარს ქ. ფოთში თავისი ნაცნობის ბ-ნ გ. ნ. დიდასათვის. ვებედავთ ამ წერილს სიტყვა-სიტყვით, ყოვლად შეუცვლელად:

**მეარფასა მეზობელსა და მამას!**

„ზიკვალთ ყოვლისა მოგაფლავს ახლად შეამარტულ წელს და ღმერთსა ესთხვს მეზობელურათ მშვიდობა და კეთილი ცხოვრება მოგანიჭოს. დადად მოსარული ვარ, რომ წაქვდეს თქვენ გაგაცნობთ და დაწვდნა, რომ ჩვენი რიონის ზიანდაც გამოდინს ბატონისა მადლაქ და მუშა გარეობა. თუ ჩემს ანაგს აკითხავ, მე უნდა მოგახსენებ, რომ შორიდან გლანათ ვხამვარ, ამიტომ რომ დიდა სანა რაც სამშობლოდან გარდავარდნიდა ვარ და ვითომ ჩემი ნოტანი და ჭანჭყელ სამშობლო დაიწვევული მქონდაქ; მაგრამ ჩემი ბატონი გავა, ეს იმისთვის მომხატა, რომ საწყალა მამა ჩემი, ბატონისაგან მარტობა: „შვილო, შორი გზა გამოდარე ოღონდ-კი მშვიდობით მოდიო“. ასეა ჩვენი საქმი! ამას იმატომ მოგახსენებ, რომ მე ჩვენებურა ტლახი ბეკრად მიჩვენისა მარმარაღოს

ცხლისა. ამგვარივე აზრი გამოუნახეს ზოლოლოგებმა მდებალ სულიერ არსებათა აგებულებას: დაბალი არსებანი იმგვარი თვისებანი ყოფილან და ჯილდოებულნი ბუნებით, რომ ამ თვისებათა წყალობით ბევრი უძლური სულიერი არსება თავს აღწევს უვნებლად არსებობის ბრძოლიდან. ავიღოთ თუნდ მიბადვის თვისება დაბალ არსებათა შორის: არის ერთგვარი მწერი, რომელიც ფერით გამხმარ ფოთლის ფერს ემზავსება; უმეტესი ნაწილი მწერებისა-კი მომწვანაა. ფერით ამგვარი მიბადვა იმას გამოუწვევია, რომ უფრო რიგინად დაიმალონ თავი ფოთლებსა და ბალახში და უფრო ადვილად ასცდნენ მტრის თვალს. არის ერთგვარი არსება, რომელსაც მტრის მოახლოვებისათანავე ტანიდან გამოაქვს შავი სითხე და ისე იმალება იმ შავს სითხეში, რომ მტერი ვეღარას აკლებს. ამითივე აიხსნება მოქმედება ერთგვარის ქიისა, რომელიც გაქირვების დროს ფრიად უსიამოვნო სუნს გამოცემს ხოლმე და სცილობს დაბნდილს

თავისი მტერი. ზოლოლოგებმა ესეც აღნიშნეს, ზოგი ერთი არსებანი თავს იმითი ინარჩუნებენ, რომ ცუდნი და უგემურნი არიან საჭმელად; ამიტომ ზოგიერთმა არსებამ მიბადვა იმათ ფერითა და საზოგადოდ გარეგან აგებულებით, რომ მოატყუონ მტრის თვალი. როდესაც ადამიანი უკვირდება სულიერ არსებათა თვისებათ, რწმუნდება, რომ არამც თუ მარტო გარეგანი აგებულება, არამედ თვით სულიერი თვისებანიც განწყობილია სიცოცხლის შესარჩენად და სადღეგრძელოდ; ავიღოთ თუნდ იმგვარი სულიერი თვისება, როგორიც, მაგალითად, შიშია, რომელიც ასე სათაკლოდ და სამარცხვინოდ მიგვჩნია. ეს თვისება დიდად სასარგებლოა: შეშინებული არსება გაურბის განსაცდელს და ამითი თავს იფარავს მტრისგან. განა დარჩებოდა და ქვეყანაზედ ერთი კურდღელი მაინც, ისე საარაკოდ მხდალი რომ არ იყოს?! თუ ლოკოკინა მტრის მოახლოვებისათანავე თავის ბუდეში იმალება, ეს იმითომ,

რომ შიში მხოქმედებს. ყველა დასთანხმდება, რომ ის, რაც ადამიანს ეზიზღება, საზოგადოდ მაწყინარი და მანვე უნდა იყოს იმისათვის. უგუნურება არ იქნებოდა, რომ ადამიანს სძულდეს ხორცი და ძროხას—ბალახი! განა ბავშვი გაიზრდებოდა, დედის რძე რომ შესძულდებოდა! საშაგეიროდ, სხვა და-სხვა საწამლავი და მანვე ნივთიერება ჩვენს ზიზღსა და შიშს იწვევს. მაშასადამე, შიში და ზიზღი გამოსადეგი თვისებანი ყოფილა; სიმართლეს მოკლებული არ იქნება, ვთქვათ, რომ ეს ორი გრძობა შემთხვევით რასმეს არ წარმოადგენს. აგრეთვე გამოსადეგი თვისებია ტკივილის გრძობა; ჩვენ იმ ტკივილისას-კი არ ვაშობთ, რომელიც ადამიანს ტანჯავს მიაყენებს, ვგულისხმობთ ტკივილს როგორც გრძობიერებას. მაგალითად, საკმარისია გადაჭრა იმ ნერვისა, რომელიც აკავშირებს ჩვენს თვალს ტვინთან, რომ მაშინვე ჩვენს თვალს მოესპოს ტკივილი—გრძობიერება. მაშინ

რაც უნდა ნივთიერება ჩავვივარდეს თვალში, ვერაფერს ვეღარ ვგრძობთ; ცოტა ხნის შემდეგ თვალს ანთება ემართება და იღუპება. ჩვენის კანის გრძობიერება დამოკიდებულია ნერვებზედ, რომლებითაც იგი დაქსელილია. ყოველს გარეგანს მანვე ცვლილებას—გარდამეტებულს სიცხეს, სიცივეს, კენას, ერთის სიტყვით, რაც-კი ჩვენის სხეულისთვის მანვე გელოა, ჩვენის კანის გრძობიერება ნერვების წყალობით გვატყობინებს და გვაფრთხილებს. არ გამოვუდგებით სხვა მრავალ ამგვარ თვისების აღწერას. გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა მკითხველისათვის, როგორც ამას პროფ. Charles Richet ამტკიცებს,—რომ სულიერი არსებანი გაჩენილნი არიან სიცოცხლისთვის, ბუნება წარმოადგენს ცოცხალს მატერიას, რომელიც ყოველს ღონისძიებას ჰლონობს, რომ რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს. დაბალ არსებათა შორის გასაოცარია სიმრავლე ნაყოფიერებისა; უმაღლესს

სულიერ არსებათა სიცოცხლე-კი იმგვარად არის შეიარაღებული, რომ, თუმცა იმათ გარეშე მომუდმივ მრავალი მტერი ახვევია, მუდმივ არსებობისათვის ბრძოლაში არიან, მაინც გამარჯვებულნი რჩებიან, და მათი რიცხვი დღითი დღე მრავლდება. სულიერი არსება ქვეყნად რომ ჩნდება, თითქმის ნაბრძანება აქვს, რაც შეიძლება მეტს ხანს იცოცხლოს ქვეყნად და გამარჯვებული იყოს არსებობისათვის ბრძოლაში. თვით ბრძოლა არსებობისათვის, განაგრძობს შემოხსენებული მეცნიერი, ამგვარებს, აძლევს დღეგრძელობას და ამრავლებს სულიერ არსებათა სხვა-და-სხვა გვარ სასარგებლო თვისებას; მაშასადამე, არსებობის ბრძოლაში გამოისახება პროგრესი, ანუ წინსვლელობა სულიერ არსებათა მთელის სამეფოსი. ერთის სიტყვით სულიერი არსებათა შორის არის განუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ ამასთანავე ყოველ არსებაში არის ბუნებით თან დაყოლილი მისწრაფება სიცოცხლისაკენ. ექიმი ბადრიძე



ქვეს მოგებულ ტრეტაებს, ეს მისე-  
ნია, რომ ეს ბარათი თქვენ გაწევის  
და გთხოვს, როგორც ადგილობრივი  
გამოცემის გარე, გარდა ამისა თუ  
და თუ ვი სავაჭრო განსაკუთრებულ  
რომ დონის მისა, რომ რომის მისა-  
ვრე ხელს მისვლა-მისვლა გაუფრთ  
შეუძლებელი და რომში მისა-  
გაწევის: ეს მისვლა, ჩემს აზრით  
და შექმნას ხელს, როგორც ადგი-  
მისვლა, შეიძლება გამოხდეს და აგ-  
რეთუ მისვლების დონისადაც ასწავს  
და სხვა ათასი რამე შექმნას. მე  
ვერ-ვერებით მოხსნა ვარ, თქვენ ახ-  
ლეს, მე ადგილობრივი გაწევისა აქ-  
ნება ნაკლებად ვიცი, თქვენ გამოცდი-  
ლი ადგილობრივი გაცნა ხართ და უფ-  
რო გაწევის სავაჭრო.

ჩემს აზრით მარჯულ წესს, სა-  
ნამ ხელს მიმართული არ ექნება მისა-  
ხელს დიდი მისა-ხელს არ ექნება;  
მაგრამ ამან არ უნდა შეგაწეოს და  
შეგაწეოს თან-და-თან ამიტვის მოთ-  
ხოვანება და სავაჭრო. უმარჯესად  
გთხოვთ ამ ჩემ აზრს და თხოვნას  
უფრო უფრო და ეტყვიან ეს სავაჭრო  
გაწევის. უფრო გარე შექმნას  
თანხა ვარ. თუ გინდათ შეგადგინოთ  
კამანია, თუ გინდათ მარტო ჩვენ ავი-  
ლოთ და ვითარად, ერთი სიტყვით რა-  
გორი განდა სავაჭროს ასეთი მიმარ-  
თით.

ჩემს მისა ადგილობრივს მე განსა-  
დაბა დაუტოვე ამის თანხაზე ჩემს  
სული დაწერილი, რომელიც უნდა და-  
ბეჭდვით და ჩვენს სოფლებში გაგზავ-  
ნას, ამას გარდა გუბერნატორთანაც  
თხოვს დაუტოვე იქნება ფოთის მის-  
ნამ ახლავე, ეს ფოთის მისა-ხელს  
სავაჭრო მისა სავაჭრო ან არას; მაგრამ  
შექმნას ვი შეუძლია მისვლა, რადგან  
ხელს სოფლებს გზა არა აქვს და ფულს  
ვი ახორციელებ.

თქვენგანთ მისვლას ველო, იმიტომ  
რომ თქვენ შემადგენელი მისა-ხელს  
გაწევის ფოთის მისა-ხელს  
თანხაზე და სხვა თქვენს აზრებზე ამ  
სავაჭრო. მე თანხა გაცნა ვარ და თუ  
რამე აზრი ჩამოვდებ, იმას არ მოგმარ-  
დებო სანამ იმის უსაფრთხოებას და  
უსაფრთხოებას არ დამატებდნენ თქვენ-  
სთან გამოცემის გარე.

მე რომ ჭკადიანს ვიყავი, ან რა  
აზრები მომივიდა, რომელიც იქვე ლე-  
ქსად გამოვთქვი:

საოჯახო ფიქრები.  
თუ რომ თქვენში ქათმი  
ერთხელ არ კაცნებულა,  
ერთი ვერცხვი საბუღალროში  
მისდღემში არ აღებულა;  
არც მალარი, არც დაბლარი  
ღვირი ცვარიც არ მისვლა,  
არც ტივი და არც ტივიტორა  
არას დროს არ ახერხებულა;  
თუ მუხვლა და ხორბალი  
ყნაში არ გაფრთხულა,  
ცხენი, ძროხა შიმშილითა  
კოტეხამდის დაქანტულა;  
თუ გუთანი მწვანე ყვლზე  
აღარ აღიღინებულა,  
ვატრინი მუდამ ლოთობს,  
ქალბატონი ვაპრანტულა,  
მაშინ თქვენს პატრონი  
ცივი წყლით წაღებულა,  
მაშული და მისი ჯანი  
ბანკში ჩახლავთებულა.

თქვენი გიორგი ქობაქიძე.

**სახელდასხელო**

(ყბადასაღები—წყალ-წყასაღები ამბავი)

საბარლო მანხანის დეპო... ცუ-  
ლიანი და უცულო, ყურიანი და

უცურო მიაღება და ისე უთხრიან  
ძირს, რომ კარგს კარგად არ იმე-  
ნენ და ავს—ავად. ჯერ თავის წვე-  
რთა შორისვე აუჩინდნენ ქია-ლუნი,  
რომელთაც დავიწყებული ჰქონდათ  
„ქმნა მართლისა სამართლისა“ და  
ოკო-ბოდოს ედებოდნენ, რომ დე-  
პოს მოქმედება-მოღვაწეობისათვის  
ჩრდილი მიეყენებინათ, ბუზი დაე-  
წინათ და აქლმი ეშობინებინათ,  
თევზის ბუშტი უშველელად რუმბად  
ექციათ. ამ ვაჭარბონთა ცდამ ჯერ-  
ჯერობით უქმად ჩაიარა და „სულსა  
მეთევზეს შერჩა-ლა ამოდ წყალთა  
მღვრევიან“.

გარედგან ბ-ნმა Novus მა ვაკრა  
თავისი ბლაგვი და ჩლოუნგი კლანქი  
და ამ ყოველ მხრივ თანასაგარძნო-  
ბელს საზოგადო დაწესებულებას  
„ლობაუტობა“ და „ავანგდისტაში  
წყლის ნაყვ“ უწოდა. Novus-ის ნი-  
ღა-აფარებული ვინაობა ყველამ  
იცის, რიც იცინა, რომ იგი ერთს  
ქეიანს ღორს მთელს კაცობრიო-  
ბას ამჯობინებს და, როგორც ამ  
შინაურის ცხოველის თავ-ნის-მცემე-  
ლი, სიბინძურეს უფრო ეტანება. ამი-  
ტომ იმის ჩვეულებრივს უაზრო და  
უსაგნო, წინ-დაუხედავს ჩმახვას ყუ-  
რადღება არავინ მიაქცია.

ესლა რიგი სომხურ გაზეთ „მშაკს“  
ერგო. ამ კვირია „მშაკმა“ პაწია  
სულ რამდენიმე სტრიქონიანი ამბავი  
დაბეჭდა მანხანის დეპოს შესახებ,  
მაგრამ ამ რამდენიმე სტრიქონზე-  
დაც ემჩნევა, წინ რა აზრი და გარძნო-  
ბაა ჰქონია წამდგარებული,  
რადგანაც ეს ცნობა დამწერს დაუ-  
წერია და რედაქციას დაუბეჭდია.  
გაზ. „მშაკი“ სწერს: „ამ საანგარიშო  
წელიწადს მანხანის დეპოს მოგება  
ჰქონია... 18 მან. 97 კაპ.“

პირველი, რომ ეს ცნობა თავით  
ბოლომდე მტკნარი სიცრუეა. თუ მო-  
წერილი ამბავია კორესპონდენტისა-  
გან, რედაქცია მოლორებულია, და თუ  
თვით რედაქციას ამოუკითხავს ქარ-  
თულ, ან რუსულ გაზეთიდგან, კითხვა  
არა სკოდნია, რადგან დეპოს, მო-  
გება-კი არა, ზარალი ჰქონდა ას  
თუმანზედ მეტი და ეს ზარალი წინა  
წლების მოგებიდან დაჭარბა.

მეორე: რას ჰნიშნავს ეს მრავალი  
წერტილი, 18 მან. 97 კაპ. წინ ასე  
მწკრივად და მრავალ-მნიშვნე-  
ლოვანად დასმული? რაო, სო-  
მხური გაზეთი სასაცილოდ იგდებს  
დეპოს თუ, — შეხეთ, შეხეთ, რა მცი-  
რესათვის უშრომით მთელს წლის  
განმავლობაშიო?! თუ ასეა (და რომ  
ასეა, ამას ექვი არა აქვს, რადგან  
სხვა არავითარი მნიშვნელობა არ  
მეცემს ამ მრავალს წერტილს), აშ-  
კარაა, „მშაკს“ ვერ გაუჩრჩევია და  
ვერ გაუჩრჩევია რა დანიშნულება  
აქვს დეპოს და იგი დახურულ ბაზ-  
რის ბაზაზების ადლის საცურებელი,  
ხალხის საყვლეფავ-საძარცვაი დუ-  
ქანი ჰგონებია.

მისდასაცნობელია და დასამახსო-  
მებლად მოგახსენებთ გაზ. „მშაკს“,  
— დეპოს დანიშნულება ის არის, რომ  
რაც შეიძლება ნაკლები მოგება ჰნა-  
ხოს, ხალხს გაუადვილოს ყოველისა-  
ვე შექმნა და აპლაგმოს მძარცველი  
ვაჭრები, რომელნიც კვირისა და ქინ-  
ძისთავით იწყებენ სოვდას და რამ-  
დენისამე წლის შემდეგ პერვი ღილ-  
ლი კუბუჭები\* ხდებიან. \*ვისაც ასხან  
ყურნი სმენად, ისმინენ!..

ჩიორა

**წერილი იურიდიულან(დოკაბტი)**

ეს ის ქალაქია, რომლის დიდებუ-  
ლი უნივერსიტეტი განთქმული იყო  
არამც თუ მთელს რუსეთში, ევრო-  
პაშიც კი და რომელიც დღეს აზრ-  
დილს და წარმოადგენს ძველის დი-  
დებისას. დოკაბტი ძველად თა-  
ვის დიდებულის უნივერსიტეტიდან  
მთელს ევროპას უგზავნიდა სწავ-  
ლეულებს და თავი მოჰქონდა თავის  
სანაქებო პროფესორებით მთელის  
ევროპის წინაშე. მაგრამ დღეს ყვე-  
ლა ეს გამჭარალა ვით შარშანდელი  
თოვლი. გერმანელები, რომელთაც  
აავსეს ეს უნივერსიტეტი, შეადგენ-  
დნენ სტუდენტთა და პროფესორთა  
უმრავლესობას, თვით ქალაქიც გერ-  
მანელებისა იყო და სრული გერმა-  
ნული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ დღეს  
სტუდენტთა შორისაც კოტანი არი-  
ან გერმანელები და პროფესორები  
ხომ ორ-სამს აღარ აღემატება. თვით  
ქალაქიც თანდათან იცლება გერ-  
მანელთაგან და ვისაც-კი შეიძლება  
აქვს, შორს, თვით გერმანიაში მიი-  
წევს.

დღეს უნივერსიტეტის ბურთი და  
მოედანი სემინარიაში კურს-დამთავ-  
რებულთ დარჩენილთ და ისინი შეად-  
გენენ სტუდენტთა უმრავლესობას.  
წელს შარშანდელზედ ვაცოლებით  
უფრო ბევრი სემინარიელი მოაწყდა  
ამ უნივერსიტეტს. წელს 265 სემე-  
ნარიელმა დაიჭირა ეგზამენი ამ უნი-  
ვერსიტეტში და ყველანი მიღე-  
ბულ იქმნენ. ეგზამენი ძალზედ  
ადვილი იყო და გინდა ჩაჭრილიყო  
ვინმე, მაინც სულ ყველას იღებდ-  
ნენ. ქართველთაგანი მხოლოდ სამი  
იყო: ბურჯანაძე, ბიბილოვი და  
პოლუმორდინაშვილი, რომელთაც  
საუკეთესოდ დაიჭირეს ეგზამენი.  
დოკაბტში ამ ორის სამის წლის წი-  
ნად სრულიად არ მოიძებნებოდა ქა-  
რთველი სტუდენტობა, ესლა-კი თი-  
თქმის ოც-და-ათს აღემატება. უნდა  
ვთქვათ-კი, რომ ქართველებისთვის,  
როგორც ღარიბ სტუდენტთათვის,  
ეს ქალაქი ძალიან ხელ-მისაწვდენი  
არის. ცხოვრება თითქმის ყველა ქა-  
ლაქზედ შედარებით იაფადა ჯდება  
და ჰედაც ისეთი ცივი არ არის,  
როგორც იქ. იმედია კვლავ უფრო  
ბევრი ქართველი სტუდენტობა მოე-  
ტანება დოკაბტს.

შ. კავაშვილი

**რუსეთი**

წელს სამოქალაქო ინტენერთა ინ-  
სტიტუტში შესვლის სურვილი განა-  
ნაცხადა 390 კაცი, თავისუფალი  
ვაკანსია იყო 40, მიიღეს 34 კაცი.  
— სექტემბრის გასულს ფინანსთა  
სამინისტროსთან დაარსდება განსა-  
კუთრებული კომისია, ამ კომისიამ  
უნდა განიხილოს ხოლომე შუამდგო-  
მლობანი იმ კერძო კაცთა, რომელ-  
ნიც რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილში  
რკინის გზის გაყვანის ნება-რთვის  
თხოულობენ.

— სექტემბრის გასულს განახლებს  
მუშაობას ის კომისია, რომელსაც  
ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლვე-  
ლად ლონის-ძიებათა შემეშავება აქვს  
მინდობილი. მუშაობის დამთავრების  
შემდეგ კომისიას აზრად აქვს მოა-  
ხდინოს შეერთებული კრება საზო-  
გადოებათა: საზოგადო ჯანმრთელო-  
ბისათვის მზრუნველისა, პეტერბურ-

გის საიურიდიულო, პეტერბურგის  
სახსიხიატო; გარდა ამისა კრებაზედ  
მიწვეულნი იქმნებიან საერობო და-  
წესებულებათა, სამკურნალო საზო-  
გადოებათა და უნივერსიტეტთა წარ-  
მომადგენელნი.

— რადგანაც ამ ბოლოს დროს  
რუსეთის სიგარას საზღვარ-გარეთ მო-  
მხადებელი სიგარა დიდ მეტოქეობას  
უწევს და რადგანაც ამის გამო ეს  
სიგარა აღარ იყიდება, რუსეთის მე-  
ქარხნებს აზრად აქვთ შუამდგომ-  
ლობა აღძრან იმის შესახებ, რომ  
საზღვარ-გარეთის სიგარას შემოსატანი  
გარდასახალი მოემატოსო.

— ამ ეზამდ ქ. ეკატერინოსლავ-  
ში იმყოფება თურმე დ-რი ი. ფ.  
მორგენსტიერნი, გამოჩენილი გა-  
მომკვლეველი ხელ-ნაწერებისა და  
ამოთი გამომცნობი ადამიანის ხასია-  
თისა, ნიქისა, ნაკულუღებებათა და  
სხ. ამ ბ-ნმა მორგენსტიერნი მონა-  
წილეობა მიიღო დრეიფუს-ესტერგა-  
ზის საქმის დროს საბუთის განხილ-  
ვაში. 21 აგვისტოს მორგენსტიერნი  
თავისი ხელოვნება უჩვენებია ეკატე-  
რინოსლავში რამდენისამე განათლე-  
ბულ კაცისათვის და ყველანი გაუ-  
ოცებია. მაგალითებრ, როდესაც ერ-  
თის კაცის ხელ-ნაწერი აჩვენეს, მან,  
მკირეოდენის დაფიქრების შემდეგ,  
სთქვა თურმე, რომ ამის დამწერი  
გონება-შერყეული უნდა იყოსო, და  
ეს სიტყვები ნამდვილი გამოდგა.  
სხვათა შორის, მანვე იქ მყოფთა ხა-  
სიათი დაწვრილებით აღნიშნა თურ-  
მე მათის ხელ-ნაწერის შემწეობით.  
საინტერესოა მორგენსტიერნის აზ-  
რი დრეიფუს-ესტერგაზის შესახებ.  
მან სთქვა თურმე, რომ საიდუმლო  
ბორდერო და ესტერგაზის საქმეში  
წარდგენილი წერილები ქალის ხე-  
ლით არის ნაწერიო. დრეიფუსი თავ-  
მოყვარე კაცია, ამაყი, გულ-ახილილი  
და არასოდეს არავითარს უპატიოს-  
ნებას არ ჩაიდენდაო; ესტერგაზი-კი  
ანკარია, სასტიკი და ყოველი სი-  
საძაგლე გამოიყვანა ხელიდანაო.

**უცხოეთი**

ავსტრია-უნგრეთის იმპე-  
რატორის მოკვლის ამბავმა მთელი ევ-  
როპა დააღვანა და დააფიქრა. თვით  
მოხუცმა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა,  
განსვენებულს მეუღლემ, ეს ამბავი შე-  
იტყუა მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ ტუ-  
ნისაგან სულამოს 8 საათზედ, იმავე  
დღეს, რა დღესაც მეკვლეობა მოხდა.  
მთელი დამე იმპერატორმა ტირადში  
გატარა, ოთხში წინ და უკან დადიო-  
და და ერთხელ განსვენებულს სხელს  
იძახდა თურმე. ამ სამწესრო ამბავმა  
დადა დააღვანა აგრეთვე ავსტრია-უნგ-  
რეთის მცხოვრებელნი, განსვენებულს  
გრაფინისა და წადებისა.

დღემდის დასამდგავებით ვერ გამო-  
ურგვევით მეკვლევის ვინაობა. იცანს  
ის, რომ გვარად ლუგენია, ხოლო  
იტალიელია თუ ფრანგი—ვერ გავიგათ.  
ამბოვენ, რომ ლუგენია თუმცა იტა-  
ლიელია, მაგრამ დაბადებით ბერძენი  
დაიბადა 1873 წელსაო. როდესაც ორ-  
მა მეტრემ მეკვლეობის შემდეგ ლუ-  
გენი შეაპურა, ამ უკანასკნელს თითქ-  
მის აზრითაა წინააღმდეგობა არ უს-  
მარა. გზაში მისარულად, სიმდევით  
მიდიოდა და თან ამბობდა: „მარჯულ  
დაჯარა: წუთი სოფელს უკვე გამო-  
სლამა“—ო. გამოძიებულს ლუგენმა გა-

მოუხდა: „ანარქისტის კრებულს  
ნიმე დღეს მშობრ-მწერულად დაგადგარ,  
მაგრამ ლუგენს შერი მანინგ ვერსად ვი-  
შავნე. მე მარტო მდიდრები მეჭვრება,  
ღარბებსა და მეშებს არასიფეს არ  
ვერბი. ვერ ისე 13 წლისა ვიყავი,  
როდესაც ანარქისტი გაგდა. ვეკლა  
ანარქისტი რომ ისე ასრულებდას თა-  
ვის მოკვლეობას, როგორც მე ჩემი  
მოკვლეობა ადასრულე, მაშინ ბურჟუა-  
ზიას მალე მოკვლეობდა ხოლო, გარ-  
გად ვიცი, რომ ვერძო მეკვლეობა არ-  
ფერს მოატანს, მაგრამ იმპერატორის  
მეკვლით მე სხვა ანარქისტებს მაგა-  
ლითი მიკვნი: ისინიც ჩემსავით მოაქ-  
ნეიან და მაშინ სულ სხვა ექმნება.“  
ლუგენის შევიცარისა ქაღაქ ექმნება  
განსამართლებენ. შევიცარისა განხონის  
ძალით ლუგენის სიკვდილით ვერ დას-  
ჯიან, შეუძლიანთ მხოლოდ სამუდამოდ  
დაპატიმრება გადაუწყვიტონ.

შევიცარისა განხონი სდგენის ანარ-  
ქისტებს, ამიტომ იმამთა მომდგრებამ  
ამ ქვეყანაში ფეხი ვერ მოივიდა. ვე-  
დახედ მეტად ეს მომდგრება გავრცე-  
ლებულა იტალიასა და ესპანიაში. ანარ-  
ქისტთა მომდგრებას გავრცელებას  
იტალიასა და ესპანიაში ხელს უწყობს,  
სხვათა შორის, ამ ქვეყნების ეკონომი-  
ური ვითარება. გაღარბებულა, უღუ-  
კმა-შურად დაჩენილი ხალხი ადვილად  
კვდებდა ანარქისტებს და ითვისებს იმ-  
ათ მომდგრებას. იტალიასა და ესპანიაში  
ანარქისტთა მთელი დასებია, რომელხანც  
ჩემად გასეთებსა და წიგნაკებს სცემენ  
და ამ მომდგრებას აგრცელებენ. მართა-  
ლია ოქსივე სახელმწიფოს მთავრობამ  
1894 წლის შემდეგ სასტიკი ზომები  
მიიღო ანარქისტთა წინააღმდეგ, მაგ-  
რამ სრულიად მათი მისაზიება მის-  
ინც ვერ მოახერხა. ბევრი ანარქისტი  
იტალიიდან ბრაზილიაში გადასახდა.  
ამ გადასახლებულთ იქ დასახეს ცაღვე  
სახოგადობა, რომელსაც სახელად  
„ტრევილია“ ეწოდება. საზოგადოების  
წესდების ერთის მუხლის ძალით, ქალი  
სახოგადოა გუთნებობას შეადგენს.  
ამ „თავისუფლის სიყვარულით“ ანარ-  
ქისტთა ძალიან ამაყობენ. იტალიის  
ანარქისტებმა რამდენჯერმე განიმარხეს  
მეფისა ჰუმბერტოს და იტალიის სხვა  
წარხინებულ კაცთა მოკვლა, მაგრამ, სა-  
ბედნიეროდ, ეს განზრახვა ვერც ერთ-  
ხელ სისრულეში ვერ მოიყვანეს. იტა-  
ლიელმა ანარქისტმა მოკვლა საფრანგე-  
თის პრეზიდენტი კარნო, იქაურმავე  
ანარქისტმა მოკვლა ამას წინად ესპა-  
ნიის მინისტრ-პრეზიდენტი კანოვასი.  
ამ რვადა, როგორც ეს მაგალითები  
ამტკიცებენ, ანარქისტთა უმთავრესი ბუ-  
ფე იტალიაა.

უკანასკნელ წლებში ანარქიზმმა თავი  
იმინს გრეთვე საფრანგეთსა და გერმან-  
იაშიაც. საფრანგეთში კარნოს მოკვლას  
შემდეგ მთავრობამ სასტიკი განხონები  
გამოსცა ანარქისტების წინააღმდეგ.  
ხოლო იმამ ბევრი ანარქისტი შეაპურა  
და დაპატიმრა. გერმანიაში ანარქის-  
ტებს თუმცა არაფერი ჩუადენათ, მა-  
გრამ მათი რიცხვი ამ უკანასკნელ დროს  
შესამჩნევად გაძრავდა. ანარქისტები  
შეადგენენ იქ მთელ დასს, რომელსაც  
სახელად „დამოუკიდებელი“ ეწოდება.  
„დამოუკიდებელი“ წინააღმდეგ-  
დემოკრატთა დასს ეკუთვნოდნენ, მაგრამ  
შემდეგ გაშორდნენ და ცალკე დასი და-  
ახრეს. გერმანიის მთავრობამ არავითარ  
განხონ არ გამოცნა ანარქისტების  
წინააღმდეგ, რადგან მან სოციალისტე-  
ბი და ანარქისტები ერთ დასად და ერ-  
თის მომდგრების მიმდგრად მიიჩნია.  
ავსტრიაში ანარქისტთა დასს რამდენ-

ნიმე საკუთარი ყურნალი და გასული აქვს.

ვეკლავდნენ ცოტა ანარქისტი ინგლისში, სადაც 10 კაცი მოაპოვებამ ამ მოძღვრების მიმდევარი.

ინგლისში ბევრი სტრუქტურის უცხო ქვეყნები ანარქისტი. იტალიელებს გარდა, აქ ნემენც ანარქისტების მთელი ახალშენა.

ინგლისში მკვლელობები გრავი-უბინგი ამბობს, რომ ანარქისტები განუყოფნივლის ჰეგელიზმით არიან შეპყრობილი.

საზრახველი. გ.ზ. „Aurore“ სწერს: „ამ რამდენიმე თვის წინადაკრთამ ინგლისურმა გასული გადსწავილა დაჭეკვლის ესტრეგის მიერ შეარჩევიანთან მიწერილი ზოგადი წერილი. ამ ამბავს ერთი ალბათი მოახდინა საკენარაღა შტაბში.

იგივე გასული შეეკითხა ამ ნაფიც მსახურს, რომელსაც ზოგჯერ საჭეკვ განისილეს, რა განაჩენს დადგენილი ანარქის მიერ ჩადენილი სიუალები რომ გრადნობათ.

დაშეკვირდი

სიყვარულს, შენ სინათლე ნეტარს, მტნებათა თანა ამას არდევ და ჭფოტავ, რამეთუ ერთსა კერძოსა მიუბრუნებ.

ნიკოლოზ ტფილელი
თქმულა: საუნჯე უხმარა
არარად გამოსაყენად.

დავით გურამიშვილი
დემრთი აღმადლებს მდებალთ და შემუსარკს ღაღათა.

მხრანალ-გაზთივანიღაზან

(ამოკრებილი ამბები)

პარიკის გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს იმართება, ამ უამად დიდი მზადება მთელს საფრანგეთში. სხვათა შორის პარიკში, გოტიეს სამელონოში აკეთებენ უდიდეს ღურბინდს.

ერთს მოკლილს კაცს გამოუჩინებია, რომ აღმინამა 70 წლის განმავლობაში უნდა შესკამოს 6,000 ფუთი საქმელი, რათა შუა რიცხვით აღმინანს წონა რომ 4 ფუთი ვინაგარიოთ, აღმოჩნდება, რომ თა-

ვის სიცოცხლეში 1,500 ჯერ უფრო მეტს საქმელს შესკამს, ვიდრე თითონ იწონის.

ბერლინის ერთ გაზეთში დაბეჭდილ ამბობდა სინანს, რომ ანდრეს, რომლის ბედი ჯერ არავინ იცის, ძლიერ ცუდად მოქცევა გერმანიელთა ერთი ესპედიცი.

დანიის კუნძულზე, რომელსაც სახელად ეწოდება შპიტბერგინი და საიდგანაც ანდრეს წავიდა თავისი ჰაეროსტატით, არის ხის შენობა ინგლისელის პაიკისა, რომელიც აქ ერთხელ მივლს ზამთარს სტრუქტურადა და დოვებზე ნადირობდა.

საქმის ჩამდენნი გერმანიელებივე ყოფილან. აქვე ჰნახეს სადარბაზო ბარათები გერმან ფრიდ-რიჰისა, მრათუნშეფიგისა და ვერიბ ვოტრენისა, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ აქ ყოფილა „გემოლოანდის“ ექსპედიცია გილ-ჰელმსტაფენიდან.

საქმის ჩამდენნი გერმანიელებივე ყოფილან. აქვე ჰნახეს სადარბაზო ბარათები გერმან ფრიდ-რიჰისა, მრათუნშეფიგისა და ვერიბ ვოტრენისა, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ აქ ყოფილა „გემოლოანდის“ ექსპედიცია გილ-ჰელმსტაფენიდან.

დეგემა

(რუსეთის დეგემათა სააგენტოსაგან).

5 სექტემბერი

ფალკარაიზო. საზღვრის გამო ატეხილი უთანხმოება ჩილისა და არგენტინის რესპუბლიკის შორის, უთუოდ, დიდ შეტაკებად გადაიქცევა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ ოთხის სახელმწიფოს კაბინეტებს გაუგზავნა მიწერილი კანლის შესახებ. ერთში პორტა ამბობს, რომ ამ უკანასკნელად მომდარ ამბების პასუხის მგებელი მე არა ვარო; ამასთან წინააღმდეგობას აცხადებს ქალაქს ყუმბარები რად დაუშინეთო.

და აცხადებს, სასურველია, რომ კრიტის საქმე გარდასწყდეს გუბერნატორის დანიშნითაო. გარეშე საქმეთა მინისტრი ოთხის სახელმწიფოს წარმომადგენელთან იყო, რადრამ თანაგრძობას ვერსად შეზღუდა.

რომი. ინგლისის წრებში ისეთი საბუთები აქვთ, რომელნიც ამტიციებენ, რომ კანდიაში არეულობა წინადაც იყო მომზადებული. როდესაც ახალი ჯარი მივა, შეუდგებიან იმათ დასჯას, ვინც ხალხი წააქეზა და ინგლისის ჯარის-კაცები მოკლა. ჰშიმობენ, რომ სისხლისმღვრელი შეტაკება არ მოხდეს.

სულ დაპატიმრებულ იქნა 350 ანარქისტი. თან და თან აშუარავლება, რომ ლუკონი მხოლოდ იარაღი იყო შეთქმულებისა რომელიც მივლს იტალიის მოსდებია. ამ შეთქმულებას თავი უნდა ეჩინა მილანსა და რომში.

სანია. სულს ნათე სადგურში მოვიდა საფრანგეთის ჯავნიანი გემი „ბუვე“ ჯარით.

ლონდონი. გენერალი კიჩენერი სამის გემითა და 1,300 კაცით წავიდა ფალოდში, სადაც როგორც გამოკიდებული დროში ამტიციებს, ფრანგები უნდა იყვნენ.

შანხაი. ხაუჩეუში ამოხება გაჩნდა. თავს დაესხენ ამერიკისა და საფრანგეთის სასულიერო მისიებს; უკანასკნელი დაიწვა.

Table with 3 columns: მან. კ., მან. კ., მან. კ. and rows of financial data.

განცხადებანი

სტვილიისი კალაქის გემეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 7 სექტემბერს, ნაშუადღვის 1 საათზე გამეგობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ახლად გადაკეთებულის ორსარულიანის ქარვასლისა (რომელიც უინ-შიოვეისა იყო) ბანბობთან. ამ სახლში არის 4 დუქანი, 12 ოთახი და ორი სარდაფი. ჰირობების შეტეობა შეიძლება ეოველ დღე, კვირა-უქმების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღვის 1 საათამდე.

მასწავლებელი

კოლეჯსკი ასესორი
ივანე ზაქარაის ძე ტერ-სტეფანოვი თაიის სასწავლებელსა და პანსიონში ასწავლის და ამხადებს მსურველთ გიმნაზიასა, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა, მიწის მზომელთა სასწავლებელსა და სხვაგან.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჭებისათვის (წელი მერვიდმეტი)
კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჭებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწობით ანგარიშის დახელოვნებით მკოდენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898-99 საამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეგნობა, 2) საკომერციო ანთიმეტაჟა, 3) ბუჯალტურა (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) ანთიმეტაჟა სასჯარაბო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწარა, 6) საჯარო და სათამაშო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგატრული და შხაანა (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრადანოვისა, № 9, სერგაივისა და მისი ქუჩაზე, აფთაქის ზარდაზარ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასუადლოდ შეიძლება მიიღოს მსურველთა კურსების სადგომში და მათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე სტრუქტურა, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დაპარსებელს ს. ჰ. მანუაიანს, ტფილისს. (24-24)

დაფლვევი საზოგადოება

„როსსია“

დაარსებული 1881 წელს.

საზოგადოების ხაღდს თანხას შეადგენს 32.000.000 მანათა.

საზოგადოების „როსსია“-ს მმართველობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გაფართოვა წრე თავისი მოქმედებისა, რომელიც დაიწყო 1887 წელს ზაფხულად იშკრიაში სხვა-და-სხვა გარდაზღვევით უბედურ შემთხვევისაგან და ეხლა საზოგადოების წესდების ძალით, რომელიც დაბეჭდილ იქნა ამა წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, შემოიღო კადეგ

სიკვდილადე დაზღვევა მეზავრებისა

მთელს ქვეყნის რეინის გზებითა და ევროპის ზღვითა და მდინარეთა გზებით მოგზავრთა.

ასეთს დაზღვევას ძალა აქვს დაზღვეულის კაცის მთელს სიცოცხლის განმავლობაში; დასაზღვევი ფული უნდა გადიხადოს კაცმა მხოლოდ ერთხელ, რაიცა შეადგენს:

რაოდენობა დაზღვევისა:

Table with 3 columns: თანხა, ვართის წლის ვენსია, ვართის წლის დედა.

1898 წლის 1 იანვრამდე „როსსიას“ საზოგადოებაში დაზღვეული იყო უბედურ შემთხვევისაგან წლიურის პოლისებით 289.314 კაცი 195.610,547 მანათად.

მიეყათ დაშეებულთ უბედურ შემთხვევისაგან 2.125,840 მან.

მსურველთ განცხადება დაზღვევის შესახებ უნდა შემოიტანონ, და იქედანვე შეუძლიან მიიღონ ყოველგვარი ცნობანი, საზოგადოების სამართველოში ქ. პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37), საზოგადოების განყოფილებაში, ტფილისში (სერგაივის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიალს ეველსა და სხვაგან.

Заявления о страховании принимаются и всякого рода свѣдѣнія сообщаются въ Правлении Общества въ С.-Петербургѣ (большая Морская, собств. домъ, № 37), въ Отдѣлении Общества въ г. Тифлисѣ (Сергѣевская улица домъ № 6) и агентами Общества во всѣхъ городахъ имперіи. (2-5-1)